




მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები



ნოემბერი, 2025

- 2025 წლის ოქტომბერში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 6.0 პროცენტი, ხოლო 2025 წლის პირველი 10 თვის საშუალო ზრდა 7.6 პროცენტზე დაფიქსირდა
- ნოემბერში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 4.8 პროცენტი და საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 2.6 პროცენტს
- ოქტომბერში ექსპორტი გაიზარდა წლიურად 0.4 პროცენტით, ხოლო იმპორტი წლიურად 3.1 პროცენტით შემცირდა, რამაც სავაჭრო დეფიციტი 5.9 პროცენტით შეამცირა და გაუტოლდა 775.4 მლნ აშშ დოლარს
- ოქტომბრის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაუფასურდა 3.6 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ხოლო გაუფასურდა 0.4 პროცენტით წინა თვესთან შედარებით
- ნოემბერში საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8 პროცენტზე იყო
- ნოემბრის ბოლოსთვის, საქართველოს სუვერენული რეიტინგები შემდეგია:
Fitch „BB სტაბილური“ S&P „BB სტაბილური“ Moody's „Ba2 ნეგატიური“

წინასწარი შეფასებით ოქტომბერში ეკონომიკურმა ზრდამ 6.0 პროცენტი შეადგინა




- წინასწარი შეფასებით, 2025 წლის ოქტომბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 6.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო სეზონურად მოსწორებულმა ეკონომიკურმა ზრდამ ოქტომბერში წინა თვესთან შედარებით 0.7 პროცენტი შეადგინა. 2025 წლის პირველი 10 თვის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 7.6 პროცენტია.
- 2025 წლის ოქტომბერში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: ინფორმაცია და კომუნიკაცია, ტრანსპორტი და დასაწყობება, პროფესიული, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები.



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2025 წლის მეორე კვარტალში რეალური მშპ გაიზარდა 7.4 პროცენტით

მშპ-ს რეალური ზრდა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2025 II კვარტალი




მშპ ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2025 II კვარტალი




- წინასწარი შეფასებით, 2024 წელს ეკონომიკური ზრდა იყო 9.7 პროცენტი, ხოლო 2025 წლის პირველ და მეორე კვარტალში ზრდა დაფიქსირდა 9.9 და 7.4 პროცენტზე, შესაბამისად. მეორე კვარტალში 2019 წლის მეორე კვარტალთან შედარებით 44.4 პროცენტიან ზრდას აქვს ადგილი.
- 2025 წლის მეორე კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
 - ინფორმაცია და კომუნიკაცია: 35.9 % (2.2 პ.პ.)
 - განათლება: 32.9% (1.8 პ.პ.)
 - ტრანსპორტი და დასაწყობება: 7.5% (0.7 პ.პ.)
 - საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები: 14.3% (0.7 პ.პ.)
 - დამამუშავებელი მრეწველობა: 6.6% (0.5 პ.პ.)
 - სახელმწიფო მმართველობა: 8.0% (0.5 პ.პ.)
- კლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგმა:
 - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა: -7.0% (-0.5 პ.პ.)


მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ




საბაზო ინფლაცია



ინფლაციის დეკომპოზიცია




ინფლაციის დეკომპოზიცია




წყარო: საქსტატი, სეზ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სავაჭრო დეფიციტი ოქტომბერში წლიურად შემცირდა 5.9 პროცენტით


ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ




იმპორტის ცვლილება, % წ/წ



ექსპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




- ოქტომბერში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 0.4 პროცენტით და გაუტოლდა 684.5 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად შემცირდა 14.0 პროცენტით და გაუტოლდა 340.2 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად შემცირდა 3.1 პროცენტით და გაუტოლდა 1 459.9 მლნ აშშ დოლარს.
- სავაჭრო დეფიციტი წლიურად შემცირდა 5.9 პროცენტით და გაუტოლდა 775.4 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წვლილმა ექსპორტის ზრდაში შეადგინა 7.4 პროცენტი (14.8% წ/წ), ხოლო ნედლეული საქონლის ექსპორტმა შეიტანა უარყოფითი -9.7 პროცენტის წვლილი (-44.7% წ/წ).
- საინვესტიციო, შუალედური და სამომხმარებლო საქონლის იმპორტის წვლილმა იმპორტის წლიურ ზრდაში შეიტანა -8.0, 0.1 და 4.8 პროცენტი, შესაბამისად.

წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


ექსპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი ექსპორტის %




იმპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი იმპორტის %



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, ოქტომბერი



იმპორტი ქვეყნების მიხედვით, ოქტომბერი



ექსპორტის ტოპ საქონელი:

- მსუბუქი ავტომობილები: 283.2 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 41.4 პროცენტი.
- თხილი და სხვა კაკალი: 31.1 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 4.6 პროცენტი.
- უთილის სპირტი: 29.4 მლნ აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 4.3 პროცენტი.

იმპორტის ტოპ საქონელი:

- მსუბუქი ავტომობილები: 210.0 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 14.4 პროცენტი.
- ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 125.5 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 8.6 პროცენტი.
- სამკურნალო საშუალებები დაფასოებული: 48.5 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 3.3 პროცენტი.

ექსპორტის ტოპ ქვეყნები:


- ყირგიზეთი: 152.6 მლნ. აშშ დოლარი - 22.3 პროცენტი.
- ყაზახეთი: 85.3 მლნ. აშშ დოლარი - 12.5 პროცენტი.
- ევროკავშირი: 74.2 მლნ. აშშ დოლარი - 10.8 პროცენტი.

იმპორტის ტოპ ქვეყნები:

- ევროკავშირი: 380.1 მლნ. აშშ დოლარი - 26.0 პროცენტი.
- თურქეთი: 233.7 მლნ. აშშ დოლარი, - 16.0 პროცენტი.
- ჩინეთი: 188.4 მლნ. აშშ დოლარი, - 12.9 პროცენტი.

2025 წლის ოქტომბერში დაფიქსირდა წმინდა ფულადი გზავნილების 13.2 პროცენტისი ზრდა

წმინდა ფულადი გზავნილები, 2025-2019




წმინდა ფულადი გზავნილები, ოქტომბერი 2025

ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი)	ცვლილება, %წ/წ	წვლილი ზრდაში, პპ
აშშ	58.0	16.7	3.4
რუსეთი	36.9	21.2	2.6
იტალია	51.6	11.9	2.2
გერმანია	28.4	21.5	2.1
საბერძნეთი	23.6	13.6	1.2
ისრაელი	23.3	13.0	1.1
სხვა	55.9	3.1	0.7

- 2025 წლის ოქტომბერში წმინდა ფულადმა გზავნილებმა შეადგინა 277.9 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 13.2 პროცენტით მეტია, ხოლო 2019 წელთან შედარებით 112.5 პროცენტით მეტია.
- წმინდა ფულადი გზავნილები გაიზარდა:
 - აშშ: 16.7 პროცენტი (3.4 პ.პ. მილიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - რუსეთი: 21.2 პროცენტი (2.6 პ.პ. მილიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - იტალია: 11.9 პროცენტი (2.2 პ.პ. მილიან ზრდაში კონტრიბუცია)
- წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა:
 - აზერბაიჯანი: -378.7 პროცენტი (-1.1 პ.პ. მილიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - ყირგიზეთი: -20.1 პროცენტი (-0.7 პ.პ. მილიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - ყაზახეთი: -22.3 პროცენტი (-0.6 პ.პ. მილიან ზრდაში კონტრიბუცია)


წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით




ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში




შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას

	1 დეკემბერი, 2025	1 დეკ 2025 - 1 იან 2025	1 დეკ 2025 - 1 იან 2024
ევრო	3.1248	▼ -6.3%	▼ -4.8%
აშშ დოლარი	2.7029	▲ 4.1%	▼ -0.5%
თურქული ლირა	0.0636	▲ 25.2%	▲ 43.1%
რუსული რუბლი	0.0347	▼ -25.6%	▼ -13.8%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	191.30	▼ -0.8%	▲ 2.7%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (ოქტომბერი 2025)	134.93	▼ -3.4%	▼ -9.1%


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ)

- 2025 წლის ნოემბერში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 2,091.0 მლნ ლარი, რაც დაგეგმილ მაჩვენებელს 3.4%-ით აღემატება.
- 2025 წლის ოქტომბერში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები წლიურად გაიზარდა 14.2 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 22.5 პროცენტით.
- ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა 262.8 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო კი განისაზღვრა -35.7 მლნ ლარით.
- 2025 წლის ოქტომბერში, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის წლიურ ზრდაზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონიეს აქციზიდან, დღგ-დან და საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა, რომელთა პროცენტულმა კონტრიბუციამ მთლიან ზრდაში შესაბამისად შეადგინა 2.9%, 3.4% და 5.5%.

ნაერთი ბიუჯეტი, მლნ ლარი




ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, მლნ ლარი




ნოემბერი | 2025

ნოემბერში მთავრობამ გამოუშვა 247.65 მლნ ლარის სახაზინო ფასიანი ქაღალდები საშუალოდ 9.2%-ად


პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი




საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი



ობლიგაციების ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი





ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით (30 ნოემბერი)





- 2025 წლის ნოემბერში ჩატარდა 6 გამოშვებისა და 1 გამოსყიდვის აუქციონი. სახაზინო ფასიანი ქაღალდების ჯამურმა გამოშვების მოცულობამ შეადგინა 247.65 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 9.241% შეადგინა.
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობისა და 4, 6, 9 და 11 წლის ნარჩენი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 80 მლნ ლარის მოცულობის სახაზინო ვალდებულებები.
- 2025 წლის 30 ნოემბრისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 39.2% ფორმირებულია იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 1-3 წლის განმავლობაში. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელში ასევე დიდი წილი უკავია 3-5 წლის ვადიანობის მქონე ობლიგაციებს (დაახლოებით 26%).
- მოთხოვნის კოეფიციენტი ნოემბერში გასული თვის მაჩვენებელთან (ოქტომბერი 2.11) შედარებით გაიზარდა და 2.28 შეადგინა.
- ნოემბერში სახაზინო ფასიანი ქაღალდების დარჩენილი საშუალო შეწონილი ვადიანობა 3.62 იყო.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო




სესხების ლარიზაცია



დეპოზიტების ლარიზაცია




- 2025 წლის 30 ოქტომბრის მდგომარეობით, მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 58.1 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 76.9 პროცენტი შეადგინა.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 36.4 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 50.5 პროცენტს უტოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 64.9 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 36.5 პროცენტს შეადგენს.
- ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 57.1 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უტოლდება 47.0 პროცენტს უტოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 42.2 პროცენტს შეადგენს.




- 2025 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, 2024 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მთლიანი სესხები 14.0 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 12.1 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 15.4 პროცენტს შეადგენს.
- 2025 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 16.0 პროცენტს გაუტოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 11.2 პროცენტს გაუტოლდა.
- 2025 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 14.4 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები, რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 14.0 პროცენტით აიწია, ხოლო იპოთეკური სესხები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, 14.8 პროცენტით გაიზარდა.


დეპოზიტების წლიური ზრდა, %



დეპოზიტების წლიური ზრდა, %




დეპოზიტების წლიური ზრდა, %




- მიმდინარე წლის 31 ოქტომბრის მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2024 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 14.5 პროცენტი იყო.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუტოლდა 18.9 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 10.4 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 15.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდის მნიშვნელობა 13.6 პროცენტს გაუტოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 2025 წლის ოქტომბრის ბოლოს შეადგინა 2.6 პროცენტი (ზრდა).
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 21.0 პროცენტს გაუტოლდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ შეადგინა 15.2 პროცენტი.

წყარო: სეზ

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




სებ-ის მიერ სავალუტო ბაზარზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი





- საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მორიგი სხდომა 2025 წლის 5 ნოემბერს ჩატარდა. კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების 8 პროცენტის განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ.
- სებ-ის მიხედვით, ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელზე (3 პროცენტი) მაღალია. ზომიერ ინფლაციას საქართველოში რამოდენიმე შიდა და გარე ფაქტორი იწვევს. ადგილობრივი ფაქტორებიდან გამოსარჩევია ეკონომიკური აქტივობის შენელება, მაღალი ფასების ზრდის ტემპი სურსათზე და უარყოფითი ინფლაციური მოლოდინები. რაც შეეხება საგარეო ფაქტორებს, ამ მხრივ ხაზგასასმელია საწვავზე საერთაშორისო ფასების დაწევა, იმპორტირებული პროდუქტების ფასების სტაბილურობა, გეოპოლიტიკური დამაბულობა და გლობალური ინფლაციური რისკების მაღალი დონე, რომელიც მეტწილად აშშ-ს სატარიფო პოლიტიკითაა გამოწვეული. სებ-ის შეფასებით, საერთაშორისო სასურსათო ინდექსების ზრდას საწვავის ფასების კლება და შენელებული ეკონომიკური აქტივობები ნაწილობრივ აბალანსებენ. თუმცა გარკვეულწილად გლობალური გაურკვევლობით წახალისებული ფასებზე ზეწოლა კვლავ ნარჩუნდება ეკონომიკაში. სებ-ის ცენტრალური სცენარის მიხედვით, მიმდინარე წელს ინფლაცია დროებით გადააჭარბებს მიზნობრივს მაჩვენებელს და საშუალოვადიან პერიოდში დასტაბილურდება 3%-ის გარშემო. მიმდინარე წლის ნოემბერში ფაქტობრივმა ინფლაციამ (წ/წ) 4.8% პროცენტი შეადგინა.
- მონეტარული პოლიტიკის შემდეგი სხდომა 2025 წლის 17 დეკემბერს ჩატარდება.
- საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ოქტომბერში სავალუტო ბაზარზე შეიძინა 167.37 მლნ აშშ დოლარი, რაც სავალუტო აუქციონების გარეშე განხორციელდა.

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



- 2025 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით 10.2 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10.4 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით 3.1 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 2.5 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.2 პროცენტს (ზრდა) შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 12.6 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 15.3 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 5.9 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.1 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 16.8 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 7.7 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2025 წლის ოქტომბრის ბოლოს 13.1 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით 9.3 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 12.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 7.8 პროცენტი.

წყარო: სეზ

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16

ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407

ელ. ფოსტა: info@mof.ge; www.mof.ge



საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო